1 ივნისი

2017

აღდგომის VII კვირა [III]

წმ. იუსტინე წამ.,+~165, (მ), წ
(19.V) წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლა, თ

ხუთშაბათი

საქმ 22,30; 23,6-11; ფს 15; იო 17,20-26

კახეთის ხიზაბავრის წმ. ნინოს კათოლიკური ეკლესიის დღეობა

ყველანი ერთი იყვნენ იო 17,21

თანამშრომელებთან გამოსათხოვარ ვახშამე დავ-
პატიჟე იმ საკრებულოს ძმებიც, რომლისკენაც მიხ-
მობდა იესო. მეორე დღეს სამსახურში არაერთმა
მითხრა გაკვირვებით, ის ძმები ყველა ერთნაირად
ლაპარაკობდაო. ყველანი ხომ ნათლად ამბობდნენ
თავიანთ სიყვარულს იესოსადმი, რომელიც ხი-
ლულსა და ხელშესახებს ხდიდა მათ ერთობას.

2 ივნისი

აღდგომის VII კვირა [III] თ

წმ. მარცელინე და პეტრე წამებ. +304;
ღირსნი ზაბულონი და სოსანა, წმ. ნინოს მშობლები (IVს.)

2017 პარასკევი

საქმ 25,13-21; ფს 102; იო 21,15-19

თეთხრა მას: „მწყემსე ჩემი კრავები“ იო 21,15

აღმდგარმა იესომ, მას შემდეგ რაც ჰკითხა პეტრეს, გიყვარვარო, დაამტკიცა იგი თავისი ეკლესიის მწყემსმთავრად. ასევე დღესაც იესო, ვიდრე რაიმე მსახურებას მოგვანდობდეს სამრევლოში, არ გვეკითხება გამოვიკვლიეთ და დავისწავლეთ თუ არა მისი მოძღვრება, არამედ გვიყვარს თუ არა იგი, ვართ თუ არა მზად სახე დავკარგოთ მისთვის და ვეცადოთ მის სიტყვას ცხოვრებაში შევასხათ ხორცი.

3 ივნისი

აღდგომის VII კვირა [III]

წმმ. კარლო ლვანგა და მეგ., წამ., + 1886, (მ), წ

2017 შაბათი

საქმ 28,16-20.30-31; ფს 10; იო 21,20-25

შენ მე მომყევი იო 21,22

აღმდგარი იესო, მას შემდეგ რაც დააკისრა პეტრე მოციქულს თავისი ეკლესიის დამწყემსვა, ერთგვარი გადაწყვეტით უხმობს, გაჰყვეს მას. პეტრემ უკან მიიხედა, მეორე მოწაფისათვის რომ შეედარებინა თავი. იესომ გაუმეორა, გამომყევიო და ამით მოუხო პეტრეს, იგი ჰყოლოდა თავისი ცხოვრების ცენტრად და მისთვის მიემართა თავისი მსახურების სხვადასხვა გადაწყვეტილებებისათვის. მხოლოდ ამგვარად შეძლებს ემსახუროს ჭეშმარიტებით მის ეკლესიას და წარუძღვეს მამისკენ.

4 ივნისი

სულთმოფენობა, «ა», დდ, [ს], წ

2017 ვირა

საქმ 2,1-11; ფს 103; 1კორ 12,3-7.12-13; იო 20,19-23

ბათუმის ახალი კათოლიკური ეკლესიის დღეობა

შუაში ჩადგა იესო და თქვა მათ: „მშვიდობა თქვენდა!“ იო 20,19

აღმდგარი იესო ცოცხალი წარუდგება სატრაპეზოში შეკრებილ თავის მოწაფეებს. ისინი საკუთარ თვალებს არ უჯერებენ გასული დღეების ჯოჯოხეთისა და შიშის მერე და ხარობენ მისი სიახლოვით. იესო მათ როდი საყვედურობს, რაც სამართლიანად შეეძლო. ეუბნება მათ: *„მშვიდობა თქვენდა“* და ამით უწვდის მათ სრულ თანაზიარებას: მათაც ექნებათ სული წმიდის ძალა წუთისოფლის დასამარცხებლად.

5 ივნისი

2017

რიგითი IX კვირა [I]

წმ. ბონიფაციუსი, ეპ. და წამ., +754, (მ), წ

ორშაბათი

ტობ 1,3; 2,1-8; ფს 111; მარ 12,1-12

ჩემი ძისა მოერიდებათო. მარ 12,6

ვენახის ბატონმა მსახურები გაგზავნა ნაყოფის მისაღებად. მევენახეებმა კი უკუაგდეს, სცემეს ან დახოცეს ისინი. თავის გულმოწყალებით ბატონი საბოლოოდ გზავნის საკუთარ ძეს, მაგრამ ისინი მასაც არ მორიდებიან.

მადლობა, მამაო, იმ სიყვარულისათვის, იმათაც რომ აღმოუჩენ, ვინც უარყოფენ შენს წინასწარმეტყველებსა და შენს საყვარელ ძეს! მადლობა, რომ მკვდარ და აღმდგარ იესოში დაბადე ახალი ერი, რომელიც მოგცემს ნანატრ ნაყოფს!

6 ივნისი

2017

რიგითი IX კვირა [I] მწ

წმ. ნორბერტი, ეპისკოპოსი, +1134

სამშაბათი

ტობ 2,9-14; ფს 111; მარ 12,13-17

გაკვირვებულნი დარჩნენ მისით მარ 12,17

პასუხი, რომელიც იესომ გასცა ფარისევლებსა
და ჰეროდიანებს, უმარტივესი იყო: აღიარე რომ
შენს ცხოვრებაში ყველაფერი მიგიღია; რაღაცას
ღებულობ ადამიანებისაგან, დანარჩენს კი სრულად
ღმერთისაგან ღებულობ. დაუბრუნე ადამიანებს,
რაკი ისინი არაფერს გაძლევენ უსასყიდლოდ.
ღმერთს კი ვერაფერსაც ვერ დაუბრუნებ: მიეცი მას
შენი გული! მეც გაკვირვებული შევნატრი იესოს,
მისი სიბრძნისათვის, ასე რომ მიტაცებს.

ოთხშაბათი

ტობ 3,1-11.16-17; ფს 24; მარ 12,18-27

ლოცვა შესმენილ იქნა ღვთის დიდების წინაშე ტობ 3,16

ორი პიროვნება, ტობი და მისი ცოლი, ტკივილისაგან გატანჯულნი ღმერთს მიმართავენ ლოცვით, ქება-დიდებას უძღვნიან მას და მთელი გულით ევედრებიან. იგი ისმენს მათ ლოცვას და შეეწევა მათ არაჩვეულებრივი სახით. ჩვენც მუდამ ვესავთ ღმერთს, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მამას და არც ოდესმე მოვტყუვდებით.

8 ივნისი

2017 ხუთშაბათი

ტობ 6,10-11; 7,1.9-17; 8,4-9; ფს 127; მარ 12,28-34

შორს არა ხარ ღვთის სასუფევლისაგან მარ 12,34

როდესაც ღმერთი გვიყვარს მთელი გულითა
და მთელი ძალებით, ხოლო მოყვასი, როგორც
საკუთარი თავი, აღვასრულებთ მამისათვის სათნო
მსხვერპლს, გვეუბნება იესო, და ახლოსა ვართ
ღვთის სასუფეველთან, რომელიც თავადაა. და
როდესაც ჩვენც ვღებულობთ მას, მაშინ ღვთის
სასუფეველი ჩვენშია!

9 ივნისი

2017

რიგითი IX კვირა [I] მწ

წმ. ეფრემ დიაკ. და ეკ. მოძღ. +373;
(27.V) წმ. ღირ. ბასილ ბაგრატ III-ის ძე;
წმ. ღირ. მიქელ პარეხელი

პარასკევი

ტობ 11,5-18; ფს 145; მარ 12,35-37

კეთრთხეთელ იყოს ღმერთი შენი ტობ 11,17

დღევანდელი საკითხავი მიგვანიშნებს,
რომ ვინც ღმერთის რწმენაში ცხოვრობს
სიწრფელით, მას ძალუძს დაინახოს ყოველივე
როგორც მისი მადლი, ძალუძს მადლობა და
ქება-დიდება მიუძღვნას მას ყოველ გარემოებაში.
ტობიას მთელი წიგნი ამის მოწმობაა.
სულო წმიდაო, შეგვეწიე ჩვენც ასე ვიყოთ!

შაბათი

ტობ 12,1.5-15.20; საგ.: ტობ 13,2.7-8; მარ 12,38-44

ორი ლეპტა ჩადო მარ 12,42

იესო აკვირდება მათ, ვინც ფულსა სწირავს
ტაძარში. ერთმა უპოვარმა ქვრივმა ძალზე ცოტა
შესწირა, მაგრამ ეს იყო მთელი მისი საბადებელი.
თავის მოწაფეებს იესო მიუთითებს, რომ მან
ყველაზე მეტი გაიღო, რადგან სხვებმა გასცეს
ის, რას მოჭარბებული ჰქონდათ, მან კი თავისი
სიცოცხლე დადო მამის წინაშე.
სულო წმიდაო, გაგვიფართოვე გულები
მამაზეციერისადმი სრულ ნდობაში!

11 ივნისი

ყოვლადწმიდა სამება, «ა», დდ, [ს], თ

2017 ვირა

გამ 34,4-6.8-9; საგ.: დან 3,52-56; 2კორ 13,11-13; იო 3,16-18

ვისაც სწამს მისი არ განიკითხება იო 3,18

იესო ელაპარაკება ნიკოდემოსს და სურს გული გაახსნევინოს თავისი ყოფნის სიახლეზე. ამისათვის მოჰყავს ნაწყვეტები წმიდა წერილიდან, კეტზე წამოცმული გველის ამბავი, რომელიც ჰკურნავდა იმ გველნაკბენებს, ვინც სასოებით შეხედავდა მას. ამგვარად, ვინც სიყვარულით უმზერს ჯვარცმულ იესოს და მთელი გულით სწამს მისი სიტყვის, პოვებს ხსნას მის მიერ. არა მსურს იმათი ხვედრი გავიზიარო, ვინც საკუთარი აზრებით გატაცებული უარს ამბობს საუკუნო სიცოცხლეზე.

12 ივნისი

2017

რიგითი X კვირა [II] თ

წმ. გასპარე ბერტონი,
სტიგმატელთა კონგრეგაციის დამაარსებელი, +1853

ორშაბათი

2კორ 1,1-7; ფს 33; მთ 5,1-12

სტიგმატელთა კონგრეგაციის დღესასწაული

იხარეთ და იმხიარჟულეთ, ვინაიდან დიდია თქვენი საზღაფური ცაში მთ 5,12

ეს სიტყვები ასრულებენ ბოლო ნეტარებას. მასთან დაკავშირებით ერთი რამ მახსენდება. ერთ დღეს მომსემა როგორ მიწოდა აგდებულად „ურწმუნო“ ერთმა არაქრისტიანმა. როდესაც ვემზადებოდი საძმოში შესვლით მიმეძღვნა ცხოვრება იესო-სათვის, ჩემს ოჯახში მავანმა არ დაზოგა დამცი-ნავი სიტყვები ჩემს მიმართ. მადლობა, იესო, რომ შემაძლებინე არ გამეცა პასუხი, არამედ სიმშვიდე მეგრძნო ორივე შემთხვევაში.

13 ივნისი

2017

რიგითი X კვირა [II]

წმ. ანტონ პადუელი, ხუც. და ეკლ. მოძღ. +1231,(მ), თ

სამშაბათი

2კორ 1,18-22; ფს 118; მთ 5,13-16

მოგვცა სულის საწინდარი ჩვენს გულებში 2კორ 1,22

წმიდა სულია როგორც გემო მარილისათვის და ნათელი ლამპრისათვის. ისაა, რაც ჩვენს სიცოცხლეს ხდის მამისადმი სიყვარულის გამოხატულებად და მისი სახიერების მოწმობად. იგია აგრეთვე ძალა, მშვიდობა და სიხარული ჩვენთვის, მამასთან და იესოსთან თანაზიარება: მათი სიცოცხლეა, მარადიული სიცოცხლე, რომელიც უკვე იწყება ჩვენში.

ოთხშაბათი

2კორ 3,4-11; ფს 98; მთ 5,17-19

დიდი იქნება ცათა სასუფეველში მთ 5,19

როდესაც ცხოვრებაში ვახორციელებთ და სხვასაც ვასწავლით ღვთის სიტყვას, ვემსგავსებით იესოს და ისიც მიგვიჩნევს თავის ძმებად, დებად და დედებად; ღვთის შვილნი ვართ, მის თვალში ფასი გვადევს. სულო წმიდაო, შეგვეწიე და წარგვიძეხ!

15 2017

ივნისი

უწმიდესი ხორცი და სისხლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, «ა», დდ, [ს], თ

ცალკეულ სამრევლოებში შეიძლება აღინიშნოს მომდევნო კვირადღეს

ხუთშაბათი

რჯლ 8,2–3.14–16; ფს 147; 1კორ 10,16–17; იო 6,51–58

ჩემი ხორცი ნამდვილი საზრდოა და ჩემი სისხლი ნამდვილი სასმელი

იო 6,55

ამ სიტყვებს შევყავართ ყოველი ევქარისტიის შუაგულში. აქ ხომ იესო, მღვდლის ხელითა და ყოველი მონაწილის რწმენით მოდის თავისი ხორცითა და თავისი სისხლით და გვეძღვნება *საზრდოდ*. ამგვარად, მისი *ხორცი* იქცევა საზრდოდ ჩენი სიცოცხლისათვის. ვღებულობთ ძალებს, რათა ერთობაში დავრჩეთ ყველა მის მოწაფესთან და ვემსახუროთ წუთისოფელს ვიდრე სიცოცხლის გაღებამდე.

16 ივნისი

2017 პარასკევი

2კორ 4,7-15; ფს 115; მთ 5,27-32

ვინც გაშვებულს ირთავს, მრუშობს მთ 5,32

მამა ღმერთს დასაბამიდან სურს, რომ ვისაც შეუყვარდება ქალი და შეირთავს მას, მუდამ მისი ერთგული დარჩეს, და იგივე ითქმის ქალზეც მამაკაცთან მიმართებაში. იესო ადასტურებს მამის ნებას და შუქსა ჰფენს მას დღეს გაჟღერებული სიტყვით. დაე, მან მიანიჭოს ყველა ოჯახის წევრს, თავისი წმიდა შიში, რათა იცხოვრონ თავიანთი მოწოდებით თავიანთდა სასიკეთოდ და მთელი საზოგადოების მშვიდობისათვის!

17 ივნისი

2017 შაბათი

2კორ 5,14-21; ფს 102; მთ 5,33-37

დაანებეთ ღმერთს თქვენი შერიგება 2კორ 5,20

წმიდა პავლე, ღვთის შიკრიკი, დღეს მოგვიხმობს თავის მსმენელებს, რათა კარი გავუხსნათ მამა ღმერთის სიყვარულს, თავმდაბლად დავუბრუნდეთ მას, როგორც შვილები, მისივე ხელმძღვანელობის ქვეშ, იესოში დამყარებული რწმენის მიერ. სულო წმიდაო, მადლობა შენ, რომ შეგვეწევი ამ მოხმობის მიღებაში!

18 ივნისი

რიგითი XI კვირადღე, «ა», [III], მწ

2017 ვირა

გამ 19,2-6ა; ფს 99; რომ 5,6-11; მთ 9,36-10,8

სამკალი ბევრია...
ევედრეთ სამკლის უფალს... მთ 9,37.38

იესო თავის მოწაფეებს უტოვებს იმავე მისიას, რისთვისაც თავად იყო მოვლენილი: სასუფევლის სახარების ქადაგება და ღმერთის მამობრივი გულმოწყალების საქმეთა კეთება.
იესო, მიანიჭე საქართველოს ყველა კათოლიკეს უნარი, დაინახონ ყოველივე როგორც შენ ხედავ: სამკალი ბევრია, და მნიშვნელობა არა აქვს, რამხელაა ჩემი საკრებულო, მთავარია ვევედროთ მამას ერთგულების ნიჭს მის ყანაში საშრომად და ერთ დღესაც გაგვაკვირვებს ღვთის სიძლიერე.

19 ივნისი

2017

რიგითი XI კვირა [III] მწ

წმ. რომუალდ, აბატი + 1027

ორშაბათი

2კორ 6,1-10; ფს 97; მთ 5,38-42

მე გეუბნებით თქვენ, ნუ შეეწინააღმდეგებით ბოროტს მთ 5,39

იესომ ეს სიტყვა შეასრულა თავის ვნებაში. ისაა მშვიდობის წყარო, როგორც მისი ყოველი სიტყვა. ბოროტი კაცი, მაშინაც როცა არ აცნობიერებს ამას, იტანჯება, რადგან ღვთისაგან განსხვავებული სული ამოძრავებს მას; ამიტომ შევხედავთ მას კეთილგანწყობისა და თანალმობის მზერით. გესავთ, იესო, რათა ვიცხოვროთ შენი გულისამებრ!

20 ივნისი

2017 სამშაბათი

2კორ 8,1-9; ფს 145; მთ 5,43-48

გიყვარდეთ თქვენი მტრები მთ 5,44

ახალი სიცოცხლის მონიჭება სურს ჩვენთვის იესოს, სიცოცხლისა, რომლითაც თავად იცხოვრა. მადლობა, იესო, შენი სიყვარულისათვის: შენი შეწევნით ჩვენც შეგვიძლია ვადიდოთ მამა შენი და ჩვენი, იმის კეთებით, რაც არც ჩვეულებრივია და არც ხშირი იმ სამყაროში, რომელშიც ვცხოვრობთ. შენი შეწევნით შენს სიყარულს მივაწვდით იმათ, ვინც შეურაცხგვყოფს და არაფრად გვაგდებს, რადგან ვართ შენნი.

2კორ 9,6-11; ფს 111; მთ 6,1-6.16-18

მდიდრები იქნებით ყოველგვარი სიფუხვით 2კორ 9,11

იესო ამბობს, *გაეცით და მოგეცემათო*; მრავალჯერ გავმხდარვარ ამ სიტყვის ასრულების მოწმე. მისგან მომდინარეობს ანდაზა: ღმერთი არავის დაუდებს ტოლს გულუხვობაშიო. როდესაც გავცემთ მისი სიყვარულისათვის, მისგან ვმდიდრდებით უფრო დიდი, შინაგანი სიკეთეებით, რომლებიც გვანიჭებს უფრო ძლიერ სიხარულს ვიდრე მრავალი რამის ფლობა განგვაცდევინებდა.

22 ივნისი

2017

წმ. პავლინ ნოლადან, +431;
წმმ. იოანე ფიშერი, ეპ. და თომას მორი, წამ., +1535

ხუთშაბათი

2კორ 11,1-11; ფს 110; მთ 6,7-15

უანგაროდ გამცნეთ ღვთის სახარება 2კორ 11,7

წმიდა პავლე წერს კორინთოელ ქრისტიანებს, პირველ რიგში კი იმათ, რომლებსაც ქრისტესადმი ერთგულების მონოპოლიაზე ჰქონდათ პრეტენზია, მოციქულის წინააღმდეგ. იგი იხსენებს, რომ სახარების ქადაგების მსახურება მან უანგაროდ გასწია და საკუთარ თავს თავისი შრომითა და მაკედონელი ძმების დახმარებით ირჩენდა. მადლობა, იესო, შენი ეკლესიის სიყვარულისათის, წმიდა პავლეს გულში რომ ჩანერგე, და გმადლობთ სამრევლოებში წინამძღვართა მსახურებისათვის, ჩვენ რომ მოგვმადლე.

23 ივნისი

იესოს ღმრთაებრივი გული, «ა», დდ, [ს], თ

2017

პარასკევი

რჯლ 7,6-11; ფს 102; 1იო 4,7-16; მთ 11,25-30

ხიზაბავრის (ასპინძა) კათოლიკური ეკლესიის დღეობა

ფუფალმა ავირჩია, რათა იყო მისი ერი რჯლ 7,6

დიახ, იესომ აგვირჩია ჩვენ, რომლებმაც
ვირწმუნეთ იგი, თავის ოჯახად, თავის ერად
და მასთან ყველი ხალხის მისაყვანად, რათა
ფლობდნენ ხსნას და ღვთის შვილთა სიცოცხლეს.
მადლობა, იესო, შენი სიყვარულით სავსე
გულისათვის: შენს ღირსად გვაქცევ ჩვენ!

24 ივნისი

წმ. იოანე ნათლისმცემლის შობა, დდ, [ს], თ

2017 შაბათი

ეს 49,1-6; ფს 138; საქმ 13,22-26; ლკ 1,57-66.80

იოანე იქნება მისი სახელი ლკ 1,60

მამა ღმერთი მიუთითებს, რომ ეს სახელი დაარქვან იმას, ვინც უნდა გაამზადოს მისი ერი მისივე ძის, იესოს მისაღებად. ამ ბავშვის მშობლები ერთად უჯერებენ მას. იოანე ნიშნავს „ღმერთი მოწყალეა“, და მართლაც იესოში იგი ასეთად გაცხადდება. მადლობა, მამაო, ყველა მათთვის, ვინც მოავლინე, რათა განემზადებინათ ადამიანთა გულები ჩვენი ხსნის, მშვიდობისა და სიცოცხლის – იესოს მისაღებად.

25 ივნისი

რიგითი XII კვირადღე, «ა», [IV], მწ

2017 ვვირა

იერ 20,10-13; ფს 68; რომ 5,12-15; მთ 10,26-33

რაც ყურში ჩაგესმით, ერდოებზე იქადაგეთ მთ 10,27

იესოს სიტყვა არსებითი ნიჭია ადამიანისთვის. თუკი ვიცხოვრებთ ამ სიტყვით, ის მოგვცემს ახალ სიცოცხლეს, მშვიდობასა და სიხარულს. ამიტომაა რომ გვიხმობს იგი დავამოწმოთ ეს სიტყვა ყველას წინაშე, მოურიდებლად, მაშინაც, როცა ის დევნის მიზეზი გახდება ჩვენთვის. მადლობა, სულო წმიდაო, რომ მიგვიძღვი და შეგვეწევი.

26 ივნისი

2017 ორშაბათი

დაბ 12,1-9; ფს 32; მთ 7,1-5

ნუ განსჯით, რათა არ განისაჯოთ მთ 7,1

განსჯა ღმერთს ეკუთვნის, ასე წერია ბიბლიაში:
მადლობა შენ, იესო, რომ შეგვახსენებ ამას.
ადამიანის განსჯის შემდეგ, როცა ვუფიქრდები,
ვაღიარებ, რომ მასზე უარესადაც ვიქცევი,
რადგან მისი განსჯით ღვთის ადგილს ვიკავებ.
შემიწყალე, უფალო, სიმდაბლე მომეც!

27 ივნისი

2017

რიგითი XII კვირა [IV] მწ

წმ. კირილე ალექსანდრიელი, ეპ. და ეკლ. მოძ., +444

სამშაბათი

დაბ 13,2.5-18; ფს 14; მთ 7, 6.12-14

შედით ვიწრო კარით მთ 7,13

იესო, შენა ხარ ვიწრო კარიბჭე! შენი სიტყვა,
შენი სიმდაბლე და სიმშვიდე, სიყვარულითა და
მამის ნებაზე მინდობით სავსე მორჩილება,
ჩვენ გვეჩვენება ძალზე რთული შესასრულებელი.
არადა ისინია სიცოცხლეში შესასვლელი გზები.
შენი წინამძღოლობით, შევალ!

28 ივნისი

2017

რიგითი XII კვირა [IV] წ

წმ. ირენეოსი, ეპ. და წამ., +~202 (მ)

ოთხშაბათი

დაბ 15,1-12.17-18; ფს 104; მთ 7,15-20

ერიდეთ ცრუ წინასწარმეტყველთ მთ 7,15

მადლობა, იესო, ამ გაფრთხილებისათვის. მომანიჭე უნარი ამოვიცნო ეს ცრუ წინასწარმეტყველნი, რათა არ გავიკარო მათი შემოთავაზებანი და დავრჩე შენს სიყვარულში. შენკენ მზერით, რომელიცა ხარ ჭეშმარიტება და საიმედო გზა, ვიფხიზლებ და დაცული ვიქნები სიცრუისაგან.

29 ივნისი

2017

წმ. პეტრე და პავლე მოციქულნი დდ, [ს], წ

ხუთშაბათი

დაბ 12,1-11; ფს 33; 2ტიმ 4,6-8.17-18; მთ 16,13-19

თბილისის წმ. პეტრესა და პავლეს კათოლიკური ეკლესიის დღეობა. შესაწირავი პაპისათვის.

შენ ხარ პეტრე და ამ კლდეზე ავაშენებ ჩემს ეკლესიას მთ 16,18

პეტრე იყო იმპულსური და საკუთარ თავში ზედმეტად დაჯერებული მეთევზე, პავლე კი იესოს პირველი მოწაფეების გააფთრებული მდევნელი. არადა, დღეს მათ ვზეიმობთ, როგორც იესოს მიერ თავისი ეკლესიის ასაგებად და სამართავად არჩეულ და წარგზავნილ მოციქულებს. დღევანდელი მოციქულები კი? თუკი იესო ენდობა მათ, მე რად არ უნდა ვენდო? იესო, შევეცდები ვილოცო მათთვის და შევიყვარო შენი საყვარელი ეკლესია.

30 ივნისი

2017

რიგითი XII კვირა [IV] მწ

რომის ეკლესიის წმიდა პირველმოწამენი, +64წ
წმ. შალვა ახალციხელი, +1227წ

პარასკევი

დაბ 17,1.9-10.15-22; ფს 127; მთ 8,1-4

**მე ვარ ღმერთი ყოვლადძლიერი;
იარე ჩემს წინაშე** დაბ 17,1

ამ სიტყვებში ვჭვრეტთ ღმერთს, რომელიც აბრაამს ეცხადება, როგორ ყოვლისმპყრობელი და წუთისოფლის ხვედრის წარმმართველი. სთავაზობს, იყოს მისი მოკავშირე, სადაც არ უნდა იყოს და გაამრავლოს იგი ძალზე მრავალრიცხოვანი შთამომავლებით. ამის საპასუხოდ აბრაამს მართებს მისი ბრძნული მითითებების შესრულება. ამგვარად ივლის იგი ღმერთის წინაშე, მისთვის ზურგის შექცევის გარეშე, როგორც ეს ადამმა გააკეთა.